№ 86. 11 მაისი, ოთხშაბათი. 1866—1883 11 მაისი, ოთხშაბათი. № 86.

დროება

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕბა“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА

ლოზედ ვეება ალაგი უჭირავს, პატრონებს ვერცა-რა გაულეწიათ-რა, ვერცა-რა გაუნიავებიათ უქარობის წყალობით და ხვავი ხანდისხან წვიმის ქვეშ ულპებათ, მაინც ამ მაშინის მოხმარება თუ არ დაოსტატებულ კაცს ძალიან გაუჭირდება.

ერთის სიტყვით, სამეურნეო საზოგადოებამ იქიდამ დაიწყო, სადაც უნდა გაეთავებინა. ჯერ უნდა სკოლები; ან ერთი სკოლა მაინც, დაეარსებინა და მასუკან მაშინები შემოეღო, თორემ პირველშივე იმითანა გლეხ-კაცებს, რომელნიც თავის სოფელ-გარეთ არა ყოფილან, უცნაურ რთულ მაშინებს უჩვენებს,—ერთი მითხარით, ღვთისგულისათვის, განა საბუთი არა აქვთ, რომ სთქვან, „თუ მაგითი ხვნა დავიწყეთ, სეფისკვერი გაწყვეტაო!“

მაგრამ ნუ დაიიწყებთ, რომ კასპში კაი ბაღებია, კაი ჩრდილოები და ათასში ერთხელ სოფლის ბაღებში პურის ჭამა უფრო სასიამოვნოა საზეურნეო ზოგადოების წევრთათვისაც და ჩვენთვისაც, ვიდრე მტვრიან ქალაქში სხდომა და მეისნერის პროექტებზე ბაასი.

ახალი ამბები.

〰 როგორც ყველა გაიგებდა, ჩვენი არტისტების გუნდი ორად გაიყო და ეს იმედს გვაძლევდა, რომ ორივე მხარე ახალ არტისტებს მოიზიდავდა, ყველა სიუჟეტისთვის ოროლი პირი მაინც შეგვექნებოდა.

სამწუხაროდ ერთმა მხარემ, რომელიც თავ. ილია ჭავჭავაძის თაოსნობას აცხადებდა თავი დაანება წარმოდგენებს და მარტო მეორე დასი მართავს.

რადგანაც ცალცალკეობა ვერ მოხდა, ჩვენ ურჩევდით ისევ ერთად, შაერთებულიყვნენ.

〰 თბილისში ხმა არის, რომ კორონაციის დროს სხვა-და-სხვა ადგილებში ხალხის დროს გასატარებლად, ქალაქი გამართავს ჩირაღდნებს და სხვა გვარს დროს გასატარებელ მხიარულებას.

〰 ქართლიდგან გვატყობინებენ, რომ ზოგიერთა ადგილებში სეტყვას ჭირნახული და ბაღები წაუხდენია.

〰 ქვირას, 8-ას მაისს, ბლდანელმა კიდევ გაიმარჯვა. ვილაც დაღესტნელი მოჭიდავე წააქცია.

რასაკვირველია, რომ ამ გვარი ხალხოსნური დროს გატარება სასიამოვნო არის, მაგრამ სასურველი იყო რომ ეს დროს გატარება სხვა-და-სხვა გაუმაძღარი ხალხის ჯიბის გასაზრდელად არ გაეხადათ: აქამდის გოდფრუა ბლდანელის სახელით ხალხსა ჰყვლეფავდა და ახლა ამ საქმისთვის ვილაცა სომეხს მოუკიდნია ხელი.

〰 საკვირველი მიყუჩებაა ტფილისში! ვაჭრობა სრულიად დაცემულა, ყოველ დღე ათობით იკეტება დუქნები, ერთმანერთის რწმუნება და ნდობა სრულიად შერყეულია.

〰 ბორის ხიდის რკინის ბოძები ისე ახლო-ახლო ჩაუსხავთ თურმე, რომ ტივისათვის გაელა საძნელოა. მეტივეები მხოლოდ ერთს ალაგას ატარებენ თურმე ტივსა, სადაც ბოძები უფრო ერთმანერთზედ დაშორებულია, მაგრამ, საუბედუროდ, ამ ალაგს ქვითკირის ბურჯია ძველის ხიდისა და ტივები ხშირად იღუპება. ამ სამშაბათსაც დაღუპულა ერთი ტივი ბურჯზე მიხლით და მეტივეები ძლივს გადარჩენილან. მაინც ეს საზოგადო მოვლენაა ჩვენში, რომ სხვა-და-სხვა გზებისა, არხებისა და ხიდების კეთებაზედ აქაურ გარემოებასა და პირობებს სახეში არ მიიღებენ ხოლმე.

〰 ამ ცოტას ხანში ს. მარტყობში სოფლის მასწავლებელთ თაოსნობით, ღვთაების სობოროს გალავანში მყოფ სახლებში, წარმოადგინეს „ძალად ექიმი“; შემდეგ წარმოდგენისა წაიკითხეს რამდენიმე ლექსი, წარმოდგენა დაბოლოდა ვაჟების და ქალების ლეკურის თამაშობით: დიდ ძალი ხალხი დეესწრო და ძალიანაც მოეწონათ; მარტყოფელებისთვის პირველი ნახვა და ეგონება იყო ამ გვარი დროს გატარებისა.

„დროების“ კორესპონდენცია

სოფ. ალაიანი, 8 მაისს. აქამდის უწვიმობისაგან დამწვარ-დახრაკულებს სწორედ სულზედ მოგვისწრო ამ წვიმებმა. ახლა ალარც კი გვეშვება, ილაჯს გვიწყვეტს და ყოველს წვიმის მოსელაზედ სეტყვის შიში გულს გვიძაგძაგებს.

პირველად ოთხს მაისს წვიმა სეტყვით მოვიდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდგან, თითქმის ოცის წამის განმავლობაში სეტყვა ჩვენს არე-მარეს; მაგრამ ზარალი არა მოუტანია-რა, რადგანაც ერთობ წვრილი სეტყვა იყო. მუხრანს ზარალი მისცა და დამპალას მიდამოები კი უფრო გააფუჭა, რადგანაც მსხვილი სეტყვა მოვიდა. ამავე დღეს ყოფილა საშინელი სეტყვა ნიჩბისის და ახალ-ქალაქისაკენ და დიდი ზარალიც მიუცია ყოველივე ნამუშევრისათვის.

ჩვენ კი ღმერთმა დაგვიფარა ამ საშინელის უბედურებისაგან, ჩვენ საალაიანო მიწებში მშვენიერი ნამუშავარია, ვაზსს ხომ განსაცვიფრებლათ ასხია, ძნელად რომ ვისმე ახსოვდეს ამისთანა კარგი მოსავლის პირი და ამისთანა მშვენიერი ყანები. მაგრამ ალაიანლებს უმთავრესი სენი გვაწუხებს და გვიღრღნის გულს! ეა გახლავს სასწავლებლის უქონლობა. დიალ! მთელი სოფელი რომ შემოიაროთ, ქუდზედ კაცი გამოიყვანოთ მათ შორის ერთს ვერ ნახავთ, რომ წერა-კითხვა იცოდეს, არცა გეყავს მწერალი, რომ მაზრის უფროსს ან ვისიმე სხვისი მოწერილობა წაუკითხოს, ან თავიანთი ვალდებულების აღსრულების დროს (თუმცა იშვიათად ასრულებენ) აუღსნას სუდია-მამასახლისს, თუ რა ნაირ პირობის ქალალდზედ სცემენ ბეჭედს? ვინ იცის, ერთი გაიძვერა კაცი რას არ მოახერხებს აქაურ მამასახლის-სუდიებთან? და რას არ დაბეჭდინებს მართალი უმანკო სულის ამოსაწვდელათ?! ამაების სამუდამოდ თავიდგან აცდენა შეეძლო სკოლას და ერთ რიგიან მასწავლებელს, რომელიც როგორც ჩვენ საცოდავ ბაშვებს, ისე ჩვენ უმეცარ მოხელეებსაც დააყენებდა სწორ გზაზედ. ეგება მკითხოთ: აქამდინ როგორ მიდიოდენ იოლათო და რა იფარებდა მაგნაირ მავნებელ და მუდამ მოსალოდნელი შეცდომებისაგანო?!—აი მოგახსენებთ: აქ ცხოვრობს ერთი პატივცემული მემამულე — ბ. ძ—შვილი, რომელიც ყოველისფრის უსასყიდლოდ ეხმარებოდა აქაურ სოფლის მოხელეებს: უწერდა, უკითხავდა და უხსნიდა საქმეს, რამდენადაც ნებას აძლევდა იმისი გარემოება, და დღე, როგორც გავიგეთ ბ. მ. ძ—შვილი ჩვენდა საუბედუროთ სამსახურში შესვლას აპირებსო. აბა მაშინ დაგვადგება მთელ ალაიანლებს ცხელი დღე!! თუ სასწავლებლის დაარსებამ არ მოგვასწრო ამ გაჭირებულს დროებში და არ გამოგვიყვანა ამ გაჭირვებიდგან. სასწავლებლის შენახვა აქ, როგორც „დროების“ № 74 გაცნობეთ, ძალიან ადვილად შეგვიძლია. ჯერ ჩვენი სასოფლო საერთო საბალახე მთის შემოსავალს (ორმოც თუმნამდინ ყოველ წელიწადს შემოდის) ცოტაც რომ დავამატოთ კარგ მასწავლებელს ვიშოვით. დღეს ამ საბალახის შემოსავალ ფულს აქაური სოფლის მოხელეები სჭამენ და ფლანგავენ მუქთათ და სოფელს იქიდგან არაფითარი სარგებლობა არა აქვს. ჩვენ

ვერ სცემენ. აგრეთვე უსამართლობა იქნება ამ უკანასკნელებისგან, თუ თავიანთ თავს შეუცდომელ წმინდა პაპებად ჩასთვლიან და ახალ-გაზდობის გულ-წრფელ ლტოლვილებას და სურვილებს იჭვნეულად შეჰხედვენ და გამხნევების მაგიერ გულს წაუხდენენო და სხვ. ამ სიტყვამ გამოიწვია ხანგრძლივი ტაშის კვრა და ბრავოს ძახილი. შემდეგ აკაკისა მაღლობზედ შედგა პ. შაიკაშვილი, რომელმაც სიტყვა ერთობ, ჩვეულებისამებრ, გააბრტყელა, მაგრამ ამ გრძელი სიტყვით, რა ჰსურდა ებრძანებინა ბ. ორატორს, ეს ყველასთვის საიდუმლოდ დარჩა. „ბრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამით კარგიო“ წასძახა ვილაც ყურის გდებით ქანც-გადაწყვეტილმა. ძიდევ სხვა მრავალი სიტყვები წარმოითქვა და ბინდზედ ს. მესხი გამოეთხოვა საზოგადოებას. მეტის მღელვარებისაგან დაქანცული პატივცემული სერგეი ნახევარ ვერსი ხელით გამოატარეს, „ურას“ ძახილით და ზურნით გამოაცილეს და იქ ფაეტონში ჩასვეს. დანარჩენები ისევ ბაღში დაბრუნდენ, კიდევ დიდ ხანს ილხინეს და შეათე საათზედ დაიშალნენ.

აკაკის სიტყვა.

ბატონებო!

„მარტო ხელობა დიდი სიღარიბე და გაჭირვებაა“ ამბობენ ჩვენი მუშა გლეხები. და მართლაც, რომ საშვილიშვილოთ მოსახლობა არ აუოხრდეს და საოჯახო ცეცხლი არ გაუქრეს, მარტო ხელი კაცი იძულებულია, ყოველ გვარ საქმეს ობლობით ჰკიდებდეს ხელს. ზარემოება ნებას არ აძლევს, რომ ერთი რომელიმე საქმე აიღოს და გულ-დასმით შეიმუშაოს, საჭიროა რომ აქაც იყოს, იქაც და ამ გვარად თავის დრო და ძალა ბევრად გაანაწილოს. და როდესაც მოუვა ბედნიერი დრო და ახალ-გაზდა მუშები წამოეზრდებიან, მაშინ კი თავისუფლად შეუძლიან ამოისუნთქოს. რადგანაც იძულებული ალარ იქნება, რომ ყოველგან თვითონ მარტო-ხელად მუშაობდეს და ის საქმე, რომელსაც ის მხოლოდ რამდენიმე წამს ახმარდა, გადავა მისთანა მუშის ხელში, რომელიც საკუთრად მას შესწირავს მთელს მის დროსა და ღონეს.

დიდი ხნის შეფერხების შემდეგ, ამ ოცი, ოც-და-ხუთის წლის წინედ გადაიდგა ჩვენის ცხოვრების წარმატების ნაბიჯი. მაშინდელი ახალ-თაობა მარტო ხელი იყო და იძულებულიც იყო, რომ ბევრის სხვა-და-სხვა საქმისათვის მოეყოლო ხელი ერთსა და იმავე დროს ყოველ დღიური მოვლინებაების საპასუხოთ. ამის გამო არც ერთს მათს ნამუშევარს არ ატყვია კერძოთ განსაკუთრებითი შრომის კვალი, მაგრამ პირველი ნაბიჯი იყო ეს და ღირსეულადაც გადაიდგა. — ახლანდელის დროის შედარებით, არ შეგვიძლიან წამოვიდგინოთ, თუ რა ძნელი იყო იმ ბიჯის გადადგმა!... ბევრი სისხლის ცრემლი და ოფლი შეეწირა მას. დღეს ღმერთმა შეგვასწრო მისთანა დროსაც, რომ ახალგაზდობა გამრავლდა და მარტო ხელობა ალარ ეტყობათ... ჩვენ სიხარულით ვუყურებთ, როდესაც ისინი, —. გაკვალულ გზაზედ გაუჭირველად და თამამად მიდიან, რომ წინ წადგენ და შეგდეგი ნაბიჯებიც გადადგან. — მისთანა უგნური არაინ არის ჩვენში რომ გზაზედ გადაეღობოს და უთხრას, შენც ისე იმუშავე და იმდენად, როგორც და რამდენადაც ჩვენ ვმუშაობდითო. და აგრეთვე მათის მხრითაც უგნურება იქნება, რომ მედიდურობა დაგვიწყონ: აქაო და ჩვენ უფრო ბარაქიანად ვმუშაობთო და ერთი ორადაც მეტს ვაკეთებთ თქვენზედო. არა. ისინი ვალდებული არიან, ერთი ოცად და ერთი ასადაც მეტი გააკეთონ, რადგანაც დღეს ბევრი არიან და მათი დრო და ძალა ოცად და ასაც არ იყოფა.

ავად არის თუ კარგად ამ დღემდი მოგვიტანია ჩვენი სამუშაო და პატიოსნად სიყვარულით გადავსცეთ უფრო ახალ დგმას, რომ იმანაც შემდეგში ისეთისვე სიწმინდითა და სიყვარულით გადასცეს მათ შემდეგებს, რომ ამ გვარად კავშირი არ იშლებოდეს, არა სწყდებოდეს . . .

არა გვყავს ერთი მოთავე კაცი, რომ იკისროს ეს ფრიად ჩვენთვის სასარგებლო საქმე; რომლის შესრულებაც ძლიერ ადვილად შეიძლებოდა.

ჩვენ სოფელს დიდი იმედი აქვს ახლად გამწესებულის ჩვენს მაზრაში მაზრის უმფროსის თ. ამირანდო ამილახვრისა, რომ მიაქცევს ჩვენ მწუხარებას ყურადღებას და დაგვეხმარება ამ საუკუნოდ დაუვიწყარ საქმეში და უბძანებს ჩვენ მოხელეებს: ეს საერთო სასოფლო შემოსავალი ფული არ გაფლანგონ და ჩვენთვის სასარგებლო სასწავლებელი სკოლისთვის გადადვან ყოველს წელიწადს, რომელსაც შეუძლია ჩვენი შვილების ბნელეთიდგან ამოყვანა!.. შვიდ მაისს დაესწარი წმიდა ნინოს დღეობაში. ეკლესია არის აგებული ჩვენი საბალახე მთის წვერზედ. ხალხი ბლომათ იყო სხვა-და-სხვა სოფლებიდამ, მლოცველებისაგან ყველგან გესმოდათ ჩივილი სეტყვაზედ. მშვენიერი გადასახედავი ადგილია ამ ეკლესიიდგან, კაცს სწორეთ სასოება გაეხსნება. აქედგან ხელის გულივითა სჩანს ალმოსავლეთით მუხრანი, წილკანი, საგურამო და მთელი არაგვის ხეობა; დასავლეთით: ზორის ქალაქამდის; სამხრეთით საციციშვილო მთებამდის და ჩრდილოეთით ჩვენი საქართველოს მყინვარე თოვლიან მთებამდის.

ოჰ! რა სასიამოვნოა, მკითხველო, იქიდგან დახედვა შენს წინ გადაშლილს სახნავ-სათეს-კორდ-მდელოზედ! მერწმუნეთ, მეტის ალტაცებით გული შეგიღონდებათ და ძალა-უნებურად ჩაგეკეცებათ მუხლები იმ ზოლ-ზოლებად აყვავებულის მწვანის დანახვაზედ, სწორეთ კარგი მოხელ-საქმე ქალის ხელოვნურად ნაკერ ათას ნაირ ფერად ჩუქურთმით, აყვავებული და აბიბინებული ფერადი გეგონებათ თვალ მიუწვდენელი თქვენს წინ გადაშლილი მდელოები.

როგორც აქაურმა მლვდელმა და მოხუცებულებმა მიამბეს, ეს ეკლესია არის მირიან მეფის აშენებული, როდესაც წმინდა ნინო ქადაგობდა ქრისტეს სარწმუნოებას ჩვენს საქართველოში, იმ დროს მირიან მეფე წამოსულიყო აქ სანადიროთ მცხეთიდგან და განეელო გულში ნინოს სარწმუნოების ამღიარებლების გაწყვეტა. მაშინ დაბნელებოდა თვალი მირიან მეფეს და როდესაც შეენანებია და შეხვეწოდა ნინოს ღმერთს—იესო ქრისტეს, ახელოდა თვალები სწორეთ ამ ადგილზედ, სადაც დღეს ეს ძველი ეკლესია დგას, მაშინვე აუგია მეფე მირიანს წმიდა ნინოს ეკლესია იმ ადგილს, და ეს საბალახე მთაც ქსნიდან საქადაგიშვილოდგან დაწყებული ამ წმინდა ტაძრისთვის შეუწირავს მეფე მირიანს და ამ მთის შამოსავლით სცხოვრებდენ აქ უწინ ბერ-მონაზონები. და დღეს მხოლოდ სენაკების და სახლების ნანგრევებია ეტყობა.

წმინდა ნინოს ტაძრისათვის მირიანისაგან შეწირული მთა, მარჯვენა მხარეს მტკვრისკენ ატამან ერისთავისთვის მიუყიდია მართებლობას და დღეს მას უჭირავს და მარცხენა მთის მხარეკი აღაიანლებისაა.

ამ წმინდა ნინოს ეკლესიაზედ წარწერილი ეგები ოდესმე იყო და ეხლა კი აღარა ეტყობა რა. სახურავის მაგიერ ხეები ამოსულა, თუმცა წყალი ჯერ კიდევ არ ჩამოდის და კედლებიც ძალიან მაგრათა აქვს.

აქ ასვენია წმინდა ნინოს ხატი, რომელსაც მარჯვენა ხელში ჯვარი უჭირავს და მარცხენა ხელში ქალალდი, ზედ წარწერით შემდეგის ციფრებით ამ ნაირად:

123
456
789
10

ამ ძველი ტაძრის ნახვაზედ სწორეთ გული დამეთუთქა და ცრემლით დულარება დავიწყე. მან განმიახლა მოგონება ჩვენის მდიდარის წასრულის და დღეს თვით ამ ტაძრის მზგავსათ განადგურებულისა.

მრავალს გულს მოდგინე მლოცველებთან მეც სასოებით შეგვევედრები წმინდაო დედაო ნინო.

წმინდაო ნინო, შენთან მოვიდეტვიო,
ცრემლთა მფრქვეველნი, შესავედრებლათ,
რომ გადმოსედო შენსა ივერსა

—

ნუ მოიძულებ, დედაო წმინდა,
შენ რჩეულ ერსა—დღეს
და გადმოსედე მოწყალეს თვალით
საქართველოს შვილთ-შენ წილ-სდომილსა.

—

და განუმტკიცე ერთმანეთ შორის
ძმობა,—ერთობა—და სიყვარული
და მოანიჭე იმათ, დედაო,
ჭეთილ დღეობა აყვავებული!

სოსო.

ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ

სამი დღის წინად სახალხოდ გამოცხადდება იმპერატორის გვირგვინის კურთხევა. ამისთვის დაინიშნება ერთი ღენერალ-ადიუტანტი სრული ღენერლის ჩინისა, ორი ღენერალ-ლეიტენანტი, ორი ობერ-ცერემონიიმეისტერი, ორი გეროლდი, ოთხი ცერემონიიმეისტერი და ორიც სენატის სეკრეტარი. სუყველანი ცხენებით უნდა იყვნენ და მათ ახლდებათ ორი დიეიზიონი: ერთი კავალერგარდის პოლკისა და მეორე ლეიბ-გვარდიის ცხენოსანი პოლკისა. სუყველას, გეროლდების აფიცრების და სალდათების გარდა, ეცმებათ ძვირფასი მუნდირები და მხარ-იღლიე ექმნებათ გადავლებული აბრაშუმის შარფი სამი ფერისა. მათ თან მიჰყვება მარქაფად თორმეტი ცხენი ძვირფას ჩულებში. როდესაც სუყველანი თავ-თავის ალაგას დადგებიან, უფროსი ღენერალის ბრძანებით გეროლდები მაღლა აიშვერენ კვერთხებს, იქ მყოფნი ქუდებს მოიხდიან, ტრუბაჩები საყვირს დააყვირებენ და ამის შემდეგ ერთი სენატის სეკრეტარი ცხენზედ წაიკითხავს ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის გამოცხადებას. მერე—მეორე სეკრეტარი ეკლესია გაიელის მცხოვრის კარით და გავა წითელ მეიდანზედ მინინისა და პოჟარსკის ძეგლებთან. იქ ორ ნაწილად განიყოფებიან და მოსკოვის სხვა-და-სხვა მხრისკენ გასწევენ გამოსაცხადებლად და განცხადებების დასარიგებლად. ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲡ წინა დღეს ყველა ეკლესიებში დაჰრეკენ და მოლეევნას გადიხდიან.

იმავ დღესვე სამეფო რეგალებს გადიტანენ საიარაღო პალატიდან ანდრეევსკის დარბაზში.

ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ იქნება სობოროში (Успенскій соборъ). სობოროში ჯერ წაბრძანდება მათი იმპერატორებითი დიდებულების მემკვიდრე, რომელსაც თან ეახლებიან ზოგიერთნი იმპერატორის გვარეულობის წევრნი, უცხოეთელი პრინცები, სტატს-დამები, კამერ-ფრეილინები და სხვ. სობოროს კარებში ტახტის მემკვიდრეს მიეგებება სამღვდელოება ჯვრით და აიაზმით. მემკვიდრე მარჯვნივ გაუელის ტახტს და დადგება წინადვე მომზადებულ ალავზედ. შემდეგ ამისა, ოც-და-თორმეტი შტაბ-აფიცერი გამოიტანს სახლიდან ბალდახინს და ძირს ჩამოიტანს. იმ ბალდახინს ჩაიბარებენ გენერალ-ადიუტანტები და, როდესაც მათი იმპერატორებითი დიდებულებანი გამობრძანდებიან, ამ ბალდახინს თავზედ დაადგმენ და ისე წაიღებენ. მინამ იმპერატორი სობოროში წაბრძანდებოდეს, სასახლის მოძღვარი მთელ გზას სასახლიდან სობოროამდენ წმიდა წყლით განათლამს.

ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ შემდეგში მდგომარეობს:

იმპერატორი აბრძანდება ტახტზედ და თან აჰყვება ნოვგოროდის მიტროპოლიტი, რომელიც გადუშლის წიგნს და იმპერატორი ხმა მაღლა წაიკითხავს ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲡ გამოცხადებას. მერე—მეორე სეკრეტარი ეკლესია გაიელის მცხოვრის კარით და გავა წითელ მეიდანზედ მინინისა და პოჟარსკის ძეგლებთან. იქ ორ ნაწილად განიყოფებიან და მოსკოვის სხვა-და-სხვა მხრისკენ გასწევენ გამოსაცხადებლად და განცხადებების დასარიგებლად. ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲡ წინა დღეს ყველა ეკლესიებში დაჰრეკენ და მოლეევნას გადიხდიან.

იმავ დღესვე სამეფო რეგალებს გადიტანენ საიარაღო პალატიდან ანდრეევსკის დარბაზში.

ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ იქნება სობოროში (Успенскій соборъ). სობოროში ჯერ წაბრძანდება მათი იმპერატორებითი დიდებულების მემკვიდრე, რომელსაც თან ეახლებიან ზოგიერთნი იმპერატორის გვარეულობის წევრნი, უცხოეთელი პრინცები, სტატს-დამები, კამერ-ფრეილინები და სხვ. სობოროს კარებში ტახტის მემკვიდრეს მიეგებება სამღვდელოება ჯვრით და აიაზმით. მემკვიდრე მარჯვნივ გაუელის ტახტს და დადგება წინადვე მომზადებულ ალავზედ. შემდეგ ამისა, ოც-და-თორმეტი შტაბ-აფიცერი გამოიტანს სახლიდან ბალდახინს და ძირს ჩამოიტანს. იმ ბალდახინს ჩაიბარებენ გენერალ-ადიუტანტები და, როდესაც მათი იმპერატორებითი დიდებულებანი გამობრძანდებიან, ამ ბალდახინს თავზედ დაადგმენ და ისე წაიღებენ. მინამ იმპერატორი სობოროში წაბრძანდებოდეს, სასახლის მოძღვარი მთელ გზას სასახლიდან სობოროამდენ წმიდა წყლით განათლამს.

ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ შემდეგში მდგომარეობს:

იმპერატორი აბრძანდება ტახტზედ და თან აჰყვება ნოვგოროდის მიტროპოლიტი, რომელიც გადუშლის წიგნს და იმპერატორი ხმა მაღლა წაიკით-

---

მაგრამ თავის სიცოცხლე შისწირეს და ზოგნიც ისე დასნეულდენ სხეულით, როგორც დღეს ეხედავთ ბ-ნ სერგეი მესხს. მართალია, ზოგიერთები გვარიან მსუქნებათაც გვეჩვენებიან, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნობაა: და მათ გულში რომ ჩავხედოთ, მაშინ კი შეიტყობთ, რომ ვის არ დააწყლულებენ, თანამშრომელ ამხანაგის სიკედილი, თუ სნეულებით დაკარგვა. მაგრამ ამაებზედაც უფრო საამწუხარო ის იყო, ხშირად ცხოვრებისთვის ცუდი პირობების ვერ ამტანი სუსტი აგებულების ამხანაგები გვეკარგებოდენ და ჩვენს ბანაკიდამ გადადიოდენ სხვაგან. მცირე რიცხვი მათი, რომელთაც ბოლო გაატანეს და ერთი მათგანია სერგეი მესხიც. მაგას რომ უთხრათ:—აბა სად არის შენი მისთანა ღვაწლი, რომელიც ყველასათვის სათვალ-და-თვალო და საშვილიშვილოდ საგანძო იყოსთქო! მაშინ ეს, როგორც ყველა ამის ამხანაგები, ვერას გეიპასუხებს, მაგრამ, თუ მოვიგონებთ დროს, კაესინჯაეთ იმ სხვა-და-სხვა სარბიელებს, რომლებზედაც ეგ მდგარა, შეეაერთებთ და ავსწონით, მაშინ კი გამოდგება დიდებული რამ, რომლისათვისა საჭირო იყო მაღალი ნიჭი, სულისა და ხორცის ძლიერება და თუ განწირულობა და ესენი ყველა ერთად სიმრთელესთან მაგან შესწირა საზოგადო საქმეს.

დღე გრძელ იყოს სერ. მესხი.

ᲕᲚ. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ბატონებო!

დღეს ჩვენ შეეიკრიბენით გამოუცხადოთ მადლობა იმ კაცს, რომელმანც თოთხმეტი წელიწადი, საუკეთესო ხანი თავისი სიცოცხლისა, თავისი სიყმაწვილე, ძალა, ღონე და ნიჭი მოგვიტანა მსხვერპლად.—დღეს, აქ, თქვენს წინაშე თვითქმის ყოველის მხრით იქმნენ განხილულნი და დაფასებულნი სერგეი მესხის ღირსებანი; მხოლოდ ერთის საგნისათვის არ მიგიქცეიათ ყურადღება და ეს საგანი ჩემის ფიქრით, შეადგენს დიდს, დაუფასებელს ღირსებას.

სხვა ქვეყანაში მომქმედნი პირნი განიყოფებიან მრავალ დასად ანუ წრეებად; ყოველს წრეს თავისი მიმართულება აქვს, თავისი დროშა აქვს გამოფენილი; ხშირად ამ წრეთა მოქმედება ეწინააღმდეგება ერთმანერთს, ყოველი იმათგანი თავის აზრს მისდევს და უნდა თავისი საყვარელს საგანს მიაღწიოს. აქედამ წარმოსდგება ხშირად სასტიკი თავ-განწირული და მკაცრი ბრძოლა. ეს მოვლენა უმეტესს შემთხვევაში არა თუ არ ასუსტებს საზოგადოებას, არამედ ამხნევებს, და გამჭრიახობას აძლევს. ჩვენის ქვეყნის მდგომარეობა კი სხვანაირია: ძლიერ შეეიწროებულია იმ სარბიელის კალაპოტი, რომელზედაც ჩვენ გამოვსულვართ საქმოქმედოდ. დროთა ვითარებამ სულ სხვა მდგომარეობაში ჩაგვაყენა, და თუ ამ შემთხვევაში ერთ მანერთ დავერიენეთ, თავს არავითარ სარგებლობას ვერ მოუტანთ, ჩვენვე დავსუსტდებით. საჭიროა ერთმანერთს ზურგი ვათხოვოთ, მჭიდროდ ხელი ჩავხვიოთ და ძმურად გავსწიოთ ჩვენის ცხოვრების ჭაპანი. მაშინ, მხოლოდ მაშინ გაგვიადვილდება ჩვენი სურვილების აღსრულება.—სერგეი მესხი იყო ისეთი პირი ჩვენს მწერლობაში, რომელიც თოთხმეტის წლის განმავლობაში აახლოვებდა სხვა-და-სხვა გვარ მომქმედ მამულის შვილებს, ათანხმებდა წინააღმდეგ მიმართულებებს და გარს შემოიკრებდა ყველას, ვისაც კი თავისი ქვეყნისათვის კალმით ან სიტყვით დახმარება სურდა. ეს შესანიშნავი, დიდათ დასაფასებელი ხასიათი და ნიჭია ჩვენს ეხლანდელს მდგომარეობაში.

ვინ არის ნეტა ჩვენთაგანი, რომელსაც სერგეი მესხისათვის არ ემცნოს თავისი გულის საიდუმლო, არ განეზიარებიოს იმისთვის გულის ტკივილი და კვნესა! დღეს ის დროებით გეშორდება და ჩვენი ძმური, წრფელი, გულითადი მადლობა იქმნეს იმისი თანამოგზაური. მხოლოდ ეს ერთად ერთი ჯილდო დაგერჩომია, რომლითაც ვასაჩუქრებთ ჩვენს მწერალს, თავ-განწირულს მშრომელს, პატიოსანს კაცს, საყვარელს მეგობარს და ღირსეულს მამულის შვილს.

ხავს, „მრწამსს“. სახარების წაკითხვის შემდეგ, ძიევისა და ნოვგოროდისა მიტროპოლიტები ბალიშზედ მიართმევენ პორფირას. მერე იმპერატორი თავს მოიდრეკს, მიტროპოლიტი ჯვარს გადასწერს, ჯვარედინათ ხელებს დაადებს და ორ ლოცვას წაიკითხავს. მეორე ლოცვას შემდეგ, იმპერატორი თავის ხელით დაიდგავს გვირგვინს და მიტროპოლიტი სიტყვას წაიკითხავს, შემდეგ იმპერატორი აიღებს ხელში სკიპტრას, ტახტზედ დაბრძანდება და მოუწოდებს იმპერატრიცას. იმპერატრიცა მიუახლოვდება, მის წინ ხაევრდს ბალიშზედ მუხლს მოიდრეკს, იმპერატორი თავიდან გვირგვინს მოიხდის, იმპერატრიცას დაადგავს და მერმე თითონ დაიდგავს. მერე მიართმევენ პატარა გვირგვინს, რომელსაც ხელმწიფე თავის მეუღლეს თავზედ დაადგავს და ოთხი სტატს—დამა გაუსწორებს. აგრეთვე ზედ გაუკეთებენ იმპერატრიცას პორფირას და ანდრია პირველწოდებულის ორდენის ოქროს ჯაჭვს, რომლის შემდეგაც ზეზედ აბრძანდება და თავის ტახტზედ დაჯდება. პროტოდიაკონი წამოსთქვამს მრავალ ჟამიერს და დაიწყობა ზარბაზნების სროლა და ზარების რეკვა. როდესაც ზარბაზნის სროლა და ზარის რეკვა გათავდება, იმპერატორი სკიპტრას გარდასცემს, მუხლთ მოიდრეკს და წაიკითხავს გადაშლილ წიგნში ლოცვას.

მერე ნოვგოროდის მიტროპოლიტი დაიჩოქებს და მასთან ერთად ყველა სობორში მყოფნი და მთელი ხალხის მაგიერ ერთს ლოცვას წაიკითხავს. ლოცვას რომ გაათავებს, იგივე მიტროპოლიტი მოკლე შესხმას მიახსენებს იმპერატორს. ძიდევ ზარის რეკა იქნება და დაიწყობა წირვა; იმპერატორი გვირგვინს მოიხდის და მინამ წირვა არ გათავდება, აღარ დაიხურავს, სახარებას რომ წაიკითხვენ, ორი არქიერი მიუტანენ და ამთხვევენებენ იმპერატორს. როდესაც მწირველნი წმინდა საიდუმლოს მიიღებენ და აღსაელის კარები გაეღება, საკურთხეველიდან გამოვა ორი არქიერი პროტოდიაკონებით და შეატყობინებენ იმპერატორს მირონ ცხებისთვის მოემზადოს. მაშინ იმპერატორი შემოიხსნის ხმალს და გარდაცემს თავის მხლებელს, ჩამოვა ტახტიდან და აღსაელის კარისკენ წავა; თან გაჰყვება იმპერატრიცა და სხვანი დიდებულნი; მხოლოდ ტახტს არ მოჰშორდებიან ისინი, ვისაც ეჭირა სახელმწიფო ხმალი, სახელმწიფო დროშა და ბეჭედი. იმპერატორი მიუახლოვდება აღსაელის კარს და დადგება ოქროთი ნაკერს ფარჩაზედ. ნოვგოროდის მიტროპოლიტი აიღებს ძვირფას ჭურჭელს მირონით და სცხებს იმპერატორს ჯერ მუხლზედ, მერე გულზედ და ხელებზედ და თან ამბობს: „ბეჭედი სულისა წმინდისა.“ ძიევის მიტროპოლიტი ისევ მოსწმენდს წასმულ ალაგებს.

(გაგრძელება)

განცხადებანი

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილმამულო ბანკისა აცნობებს ხსენებულის ბანკის წევრთა, რომ ამ ბანკის წესდების მე 79 §-ის ძალით, ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება ხსენებულის ბანკის საზოგადოების წევრთა დანიშნულია ამა 1883 წლის 30 მ ისისათვის, დილის თერთმეტს საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის გამგეობის სადგომში.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არიან შემდეგნი:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1882 წლისა.

2) დამტკიცება ბანკის ხარჯებისა 1883 წლისა.

3) შეცვლა რომელთამე §§ ბანკის წესდებისა.

4) აღნიშვნა იმ საგნებისა, თუ რაზედ უნდა მოხმარებულ იქმნეს საზოგადო-საჭიროებათათვის გადადებული ფულები.

5) აღრჩევა რიგით გამოსასვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის წევრის თ. ერისთვისა, ორთა ზედა-მხედველის კომიტეტის წევრთა და ბანკის გამგეობის წევრთა ერთის კანდიდატისა.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა შეუდგარ შემდეგის 1883—1887 წ. ოთხის წლისათვის ქალაქის სამმართველოს ამომრჩევლების სიების შედგენას, ვალად სდებს თავის თავს სთხოვოს ქალაქის მცხოვრებთ თავის დროზედ შემოიტანონ მათს უფრავს მამულებზედ გაწერილი დავსებითი (оцѣночный сборъ) გარდასასხადი, როგორც ძველი ისე ამ მდგომარე წლისა და აგრეთვე შესსეს გარდასახადი ძველი წლებისა, რადგან ამ გარდასასხადების დროზედ შემოუტანლობა ართმევს მცხოვრებთ სმის უფლებას ამომრჩევლებთ შეგრებიდებაში. (4 მ. 1964 სტ. ტ. II ნ. I გამ. 1876 წ.). (3—2)

ისყიდება რამდენიმე ნაჭერი მიწა იაფად მტკვრის ნაპირზედ, ახალი სიდის ასლო, იკითხეთ ინგლისის მაღაზიაში. იქვე ბომბაზეი, საქალო და საკვაცო უნაგირები და სხვა მრავალი საქონელი იაფად. (5—2)

იტალიანური ოპერის მომღერალი

ფ. ქოლრიძე

მცოდნე საფუძვლიანად ხმის განვითარებისა და განვარჯიშებისა, იტალიანურის მეთოდითა, ასწავლის სიმღერას ფრიად მცირე ფასით. ხოლო მეყსიერთა და ნიჭიერთა ღარიბთა თითქმის მუქთად. ბარდა ამისა ასწავლის იტალიანურს ენას.

ზ. მ. ქოლრიძისა, მცოდნე მუზიკისა: პრაკტიკულად და ტეორეტიკულად ასწავლის ფორტეპიანოს და ენებსა, რუსულს, იტალიანურს, ფრანცუზულს და ნემეცურს, ფრიად მცირე ფასით.

ბაზარის ქუჩა, № 20. სახლი ერისთავისა (ადრე თამამშოვისა).

(5—2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შპალერები

ეკუთვნის მედ. ლი.

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

მმათა ტარნოპოლეების

ქარხნის ადგილის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მეიდგველთ დაეთმობათ. (40—2)

საგლეგუსო  **კალმები**

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ოქროვანი „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ფანქა, კარანდაში, ბენზელი, კალმები, ბუმაგნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ბარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, ბატარა ხალები იატაკისათვის ჯლონკები, ტახტები, საკარძლები, სარკეები, საკარცხლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები, რულეტკები, კატერბასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სკისტოკი, ბომბოჩი, ქაბრები, სარტულები, საუელური, ბრობკები, საბრობკები, კრანები, ფილტრები, შოტკები თავის, ტანისამოსის, ცხენის და ბატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმოო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

კატალოგი—20 კ. (100—11)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამოღმყვა

ნიმაკმასტერი

ამაგრებს ომას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—71)

აქვე ისყიდება ქინის ბომბა ომების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საბონი, დუხები და სხვ.

ინგლისის

მაღაზია

Maison de confiance

ბაბალეთი ნაბი—1 მ. 10 კ.	ბოსტონის ნაბი—1 მ. 40 კ.
— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კონფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—71)

ინგლისური რკინის კრავატები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალასით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სასამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, თვალსასები, ლიტეები, სათვნგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიბებები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის სარისხისა. (100—59)

შეშინოვის კანტორაში მიღებულია **ანგლო - ბოლგარიული გუთნები** ნოვარდისა. (3—2)

ტაქცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ბუქნებში და დატარებით 1 მაისიდამ 1 ივნისამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	3½
მესამის „	—1 გირ.	—

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლაგაში	1 გირ.	5½
მეორის „ „	—1 გირ.	4½
მესამის „ „	—1 გირ.	4 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	11 კ.
მეორის „	—1 გირ.	9 კ.
სუკი — —	—1 გირ.	17 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	11 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Мая 1883 г. *Типографія Мсликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.